

ელექტრომანქანების განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მათი
ენერგეტიკულ სექტორზე, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზეგავლენის
ეკონომიკური შეფასება

შორენა ქაშიბაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ენერგეტიკის მართვა და მდგრადი განვითარება

ხელმძღვანელი: გიორგი მუხიგულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შორენა ქაშიბაძე

01.07.2019

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად ვითარდება ტექნოლოგიები, რომელთა მიზანია უზრუნველყონ ისეთი განვითარება, რომელიც ბუნებრივი გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ნაკლებად დამაზიანებელი იქნება. ერთ-ერთ ასეთ ტექნოლოგიას წარმოადგენს ელექტრომანქანები. როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ ხელი შეუწყონ ელექტრომანქანების დამკვიდრებას.

საქართველოში აქტუალურია ჰაერის გამონაბოლქვითა და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების პრობლემა. სახელმწიფოს მხრიდან იდგმება ელექტრომანქანების გამოყენების წამახალისებელი ნაბიჯები. ელექტრომანქანების რაოდენობის ზრდა ქვეყნის ავტოპარკში აისახება მის ენერგომახმარებაზე, გარემოზე, მოსახლეობისა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული კვლევის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება და რამდენიმე სცენარის შემუშავება.

ნაშრომის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ შედეგები შესაძლებელს ხდის ელექტრომანქანებთან დაკავშირებულ გამოწვევების შეფასებას, კვლევებისთვის სამომავლო მიმართულებების წარმოჩენას.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ელექტრომანქანები, სათბური აირები, გაფრქვევები, ელექტროგენერაცია.

Abstract

In the modern world are actively developing technologies which are aimed to provide less damaging and hazardous for the environment and people's health development. One of these technologies is electric vehicles. Both developed and developing countries are jointly trying to promote electric vehicles.

In Georgia the problem of contamination with greenhouse gas emissions and weighted particles is a current interest. The state is taking encouraging steps to use electric vehicles. The increase in the number of electric vehicles in the country's fleet will be reflected in its energy sector, environment, population and the country's social and economic status. Based on the mentioned above, this research is analyzing international experience and has developed several scenarios.

The scientific value of the work is that the results make it possible to evaluate the challenges related to the development of electric vehicles and reveal future directions for research.

Key words: electric vehicles, greenhouse gases, emissions, power generation.